



საქართველოს კონტროლის კალათის აუდიტის

კ ტ ი

№ 50/00

, „ 2 ” ივნის 2010

ქ. თბილისი

გვ. N2

ფინანსური გასვლითი აუდიტის აქტი
 (2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი)
 (01.01.2009-01.01.2010)

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდული დახმარების საკითხთა
 სამინისტრო



სარჩევი

ნაწილი I. - შესავალი.....	3
შემოკლებანი.....	3
საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	3
ნაწილი II. - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	4
ნაწილი III.- ძირითადი ტემსტი.....	5
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა.....	5
1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება	5
1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკული მუხლების მიხედვით.....	8
1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა	18
1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყნების მდგომარეობა.....	19
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება).....	20
ნაწილი IV.- აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი	25
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:	25



ნაწილი I - შესავალი

აუდიტის ფორმა: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდული დახმარების საკითხთა სამინისტროს გასვლითი ფინანსური აუდიტი;

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 1 მარტის №11/43 ბრძანება;

აუდიტის ობიექტი: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდული დახმარების საკითხთა სამინისტრო; ქ.თბილისი 0177, ალ.ყაზბეგის გამზ. №42; ტელ: (+995 32) 312747;

აუდიტორები და მათ მიერ შესრულებული სამუშაოები: საქართველოს კონტროლის პალატის უფროსი აუდიტორი გია ტუხაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) და აუდიტორები გიორგი თაბუაშვილი, თორნიკე მჭედლიძე, მარიკა ნაცვლიშვილი. აუდიტის პროგრამით გათვალიწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად;

აუდიტის პერიოდი: 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე;

აუდიტის ვადა: 2010 წლის 1 მარტიდან 8 აპრილამდე;

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

შემოკლებანი

1. კონტროლის პალატა - საქართველოს კონტროლის პალატა;
2. სამინისტრო - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდული დახმარების საკითხთა სამინისტრო;
3. ფინანსთა სამინისტრო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
4. კანონი-საქართველოს კანონი;
5. მინისტრი - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდული დახმარების საკითხთა მინისტრი;
6. ფონდი - სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო¹ შექმნილია 2009 წლის 1 თებერვალს.

სამინისტროს დებულება დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის №8 დადგენილებით, რომლის მიხედვითაც სამინისტროს მმართველობის სფეროს და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება: კანონმდებლობით დადგენილი წესით სასჯელის აღსრულების განხორციელების ორგანიზება და სასჯელაღსრულების ორგანოთა მართვა, მათი მატერიალურ-ტექნიკური და სამართლებრივი უზრუნველყოფა; სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა; კანონმდებლობის შესაბამისად იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა.

სამინისტროს უფლებამოსილებებს განეკუთვნება: სასჯელაღსრულების დაწესებულებათა და მსჯავრდებულთა დაცვა, მსჯავრდებულ პირთა მიმართ სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის აღსრულება, კანონით გათვალისწინებული წესით მსჯავრდებულთა და პატიმართა უფლებების დაცვის

¹ საქართველოს კანონში „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ 2008 წლის 30 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით



უზრუნველყოფა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დანაშაულის, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის მიერ სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მზადების სტადიაში აცილება, მომხდარი დანაშაულის აღკვეთა და გამოვლენა; სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან მათი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთქმედება იმ დანაშაულთა გამოვლენაში, რომლებიც მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებამდე; კანონით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება; კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა საშტატო ნუსხების დამტკიცება და საქმიანობის გეგმების შემუშავება, მათთვის საჭირო ფულადი და სხვა სახსრების გაცემის უზრუნველყოფა; სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მოხელეთა სწავლებისა და პვალიფიციის ამაღლების უზრუნველყოფა.

მინისტრის დანიშვნამდე ზემოაღნიშნული დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მინისტრის თანამდებობაზე 2009 წლის 6 თებერვლიდან 2009 წლის 8 დეკემბრამდე მუშაობდა დიმიტრი შაშკინი. 2009 წლის 21 დეკემბერს მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა ხათუნა კალმახელიძე.

2009 წლის პერიოდში სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები იყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური.

ამავე პერიოდში, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები იყვნენ იურიდიული დახმარების სამსახური და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი.

2010 წლის 1 იანვრიდან, სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურს, ეწოდა, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო და ამჟამად ფუნქციონირებს როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ნაწილი II. - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. 2009 წლის პერიოდში წყლის მოხმარების ფაქტიურ ხარჯში აღრიცხულია 6,247.7 ათასი ლარი. რიგ შემთხვევებში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გახარჯული წყლის საშუალო ოდენობა დღეში ერთ პატიმარზე 400 ლიტრიდან (1.5 ლარი) 3700 ლიტრამდე (16.1 ლარი) შეადგენს. ასე მაგალითად, თბილისის № 7 საპყრობილები წლის განმავლობაში საშუალოდ 44 პატიმარზე გახარჯულია 58.9 ათასი მ³ წყალი (259.0 ათასი ლარი; დღეში საშუალოდ 1 პატიმარზე 3,665 ლიტრი- 16.1 ლარი); ქუთაისის № 2 საპყრობილები საშუალოდ 853 პატიმარზე გახარჯულია 203.4 ათასი მ³ წყალი (712.0 ათასი ლარი; დღეში საშუალოდ 1 პატიმარზე 653 ლიტრი - 2.3 ლარი).....14
2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ სადაზღვეო კომპანია „ალდაგი ბი სი აი“-ს ბარათზე 2009 წლის მარტში კრედიტში აისახა 739.1 ათასი ლარი, რომლის საფუძვლად წარმოდგენილი დოკუმენტები ზემოაღნიშნული თანხის შეუსაბამოა. აუდიტის მსვლელობისას ვერ იქნა წარმოდგენილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სადაზღვეო კომპანია „ალდაგი ბი სი აი“-ს ურთიერთშედარების აქტი.24



3. სამინისტროს აპარატის მიერ 48.0 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია ფიზიკურ პირ ნიკოლოზ რამიშვილთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო 32.9 ათასი ლარის ხარჯი - აშშ-ს მოქალაქე ბარი ჯექსონთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხარჯების გაწევის დამადასტურებლად წარმოდგენილია ნ.რამიშვილთან და ბ.ჯექსონთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები, შესრულებული სამუშაოების შესახებ, თუმცა წარმოდგენილი ვერ იქნა ზემოაღნიშნული საკონსულტაციო სამუშაოების სამინისტროში დანერგვის ან შედეგის ამსახველი ინფორმაცია. ამასთან, ნ. რამიშვილი შეყვანილი იყო სამინისტროს საკონრდინაციო საბჭოს შემადგენლობაში, როგორც ექსპერტი მინისტრის 2009 წლი 24 სექტემბრის №8 ბრძანებით.19
4. სამინისტროს აპარატის მიერ მივლინებების ქვემუხლით გაწეული ხარჯების შესწავლით დადგინდა, რომ ადგილი აქვს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებით დამტკიცებული მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი (დანართი №1) მე-9 და მე-14 პუნქტების მოთხოვნების უგულებელყოფის ფაქტებს.15
5. 2009 წელს სამინისტროს აპარატის მიერ 95.8 ათას ლარად შეძენილ 3 ერთეულ ავტომანქანის შეკეთებაზე გახარჯულია 25.7 ათასი ლარი. დიდი ოდენობითაა ავტოტრანსპორტზე სარემონტო ხარჯები გაწეული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერაც. რიგ შემთხვევებში რემონტზე გაწეული ხარჯი ავტომანქანის ნარჩენ საბალანსო ღირებულების 60%-ს, რიგ შემთხვევებში კი მის ნარჩენ ღირებულებასაც აღემატება. აღნიშნული ხარჯების რეალობა მოითხოვს დეტალურ შესწავლას.17

ნაწილი III.- ძირითადი ტექსტი

- მოღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა
 - 1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება

კანონით „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ სამინისტროს, 4777 მომუშავეთა რიცხოვნობით, განესაზღვრა საბიუჯეტო სახსრების ასიგნებები სულ 119,005.6 ათასი ლარის ოდენობით. მ.შ. სამინისტროს აპარატს - 2,993.0 ათასი ლარი, სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს: სასჯელაღსრულების დეპარტამენტს - 111,100.1 ათასი ლარი და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სამსახურს - 1,563.6 ათასი ლარი; სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირებს: სამინისტროს მმართველობის სასწავლო ცენტრს - 447.9 ათასი ლარი და იურიდიული დახმარების სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს - 2,901.0 ათასი ლარი.

2009 წლის 11 ივნისს წლიურ საბიუჯეტო კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საბიუჯეტო ასიგნებების მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა, თუმცა განხორციელდა ასიგნებების ცვლილებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებშიც და კოდებშიც. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლით დამტკიცებული ასიგნებები გაზრდილი იქნა 71.1 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით დამტკიცებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე. აღნიშნული ცვლილება² გამოწვეულია

² სამინისტროს 2009 წლის 11 მაისის №3/02-1107 წერილი



სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან სამედიცინო და პრესამსახურის სამინისტროს აპარატში გადმოტანით, რის შედეგადაც სამინისტროს აპარატის მომუშავეთა რიცხოვნობა გაზრდილ იქნა 26 ერთეულით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მომუშავეთა რიცხოვნობის შემცირების ხარჯზე.

2009 წლის 4 დეკემბერს წლიურ საბიუჯეტო კანონში შეტანილი ცვლილებებით, სამინისტროს ასიგნებების მთლიანი მოცულობა გაზრდილი იქნა 186.4 ათასი ლარით გრანტების გამოყოფის შედეგად. კერძოდ, გრანტები განესაზღვრა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურს – 109.3 ათასი ლარი და სსიპ- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს – 77.1 ათასი ლარი.

ცხრილი №1 წლიურ საბიუჯეტო კანონში შეტანილი ცვლილებები და დაზუსტებული ბიუჯეტი (ათას ლარებში)

ოცნები	დასახელება	2008 წ-ის 30 დეკემბერ რის მდგომარ ეობით	2009 წ-ის 11 ივლისის მდგომარ ეობით	2009 წლის 4 დეკემბრის მდგომარეობით			სხვაობა (4-3)	დაზუს ტებულ ი ბიუჯეტი	სხვაობა (9-5)
				სულ:	საბიუჯეტო სახსრები თ	გრანტები			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2700	საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტრო	119,005.6	119,005.6	119,192.0	119,005.6	186.4	-	0	1,000.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	4777	4777	4777	4777		-	4777	-
	ხარჯები	90,797.1	90,797.1	90,889.0	90,797.1	92.3	-	84,688.4	-6,201.0
	შრომის ანაზღაურება	32,614.9	32,686.0	32,696.0	32,686.0	9.6	71.1	32,846.1	150.5
	საქონელი და მომსახურება	48,127.7	48,056.6	48,062.0	48,056.6	5.6	-71.1	45,830.4	-2,231.8
	სუბსუდია	3,010.5	3,010.5	3,087.6	3,010.5	77.1	-	3,132.8	45.2
	სოციალური უზრუნველყოფა	180.0	180.0	180.0	180.0		-	210.0	30.0
	სხვა ხარჯები	6,864.0	6,864.0	6,864.0	6,864.0		-	2,669.2	-4,194.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	28,208.5	28,208.5	28,303.0	28,208.5	94.1	-	35,306.2	7,003.6
	ვალდებულებების კლება სამინისტროს აპარატი	2,993.0	3,230.2	3,230.2	3,230.2		237.2	4,530.2	1,300.0
2701	მომუშავეთა რიცხოვნება	100	126	126	126		26	126	-
	ხარჯები	2,493.0	2,726.2	2,726.2	2,726.2		233.2	4,026.2	1,300.0
	შრომის ანაზღაურება	1,499.1	1,760.5	1,760.5	1,760.5		261.4	1,841.0	80.5
	საქონელი და მომსახურება	973.9	940.6	940.6	940.6		-33.3	1,146.1	205.5
	სოციალური უზრუნველყოფა	20.0	25.1	25.1	25.1		5.1	25.1	-
	სხვა ხარჯები						-	1,013.9	1,013.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	500.0	504.0	504.0	504.0		4.0	504.0	-
2702	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	111,100.1	110,862.9	110,863.0	110,862.9		-237.2	109,862.9	-1,000.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	4537	4511	4511	4511		-26	4511	-
	ხარჯები	83,785.0	83,551.8	83,552.0	83,551.8		-233.2	75,745.6	-7,806.2
	შრომის ანაზღაურება	30,000.0	29,809.7	29,810.0	29,809.7		-190.3	29,779.7	-30.0
	საქონელი და მომსახურება	46,772.0	46,734.2	46,734.0	46,734.2		-37.8	44,136.8	-2,597.4
	სოციალური უზრუნველყოფა	150.0	144.9	144.9	144.9		-5.1	174.9	30.0
	სხვა ხარჯები	6,863.0	6,863.0	6,863.0	6,863.0		-	1,654.2	-5,208.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	27,315.1	27,311.1	27,311.0	27,311.1		-4.0	33,919.9	6,608.8
	ვალდებულებების კლება						-	197.4	197.4




2703	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური	1,563.6	1,563.6	1,672.9	1,563.6	109.3	-	2,372.9	700.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	140	140	140	140		-	140	
	ხარჯები	1,508.6	1,508.6	1,523.8	1,508.6	15.2	-	1,783.8	260.0
	შრომის ანაზღაურება	1,115.8	1,115.8	1,125.4	1,115.8	9.6	-	1,225.4	100.0
	საქონელი და მომსახურება	381.8	381.8	387.4	381.8	5.6	-	547.4	160.0
	სოციალური უზრუნველყოფა	10.0	10.0	10.0	10.0		-	10.0	-
	სხვა ხარჯები	1.0	1.0	1.0	1.0		-	1.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	55.0	55.0	149.1	55.0	94.1	-	589.1	440.0
2704	სსიპ-სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	447.9	447.9	525.0	447.9	77.1	-	525.0	-
	ხარჯები	409.5	409.5	486.6	409.5	77.1	-	486.6	0.0
	სუბსუდია	409.5	409.5	486.6	409.5	77.1	-	486.4	-0.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	38.4	38.4	38.4	38.4		-	38.4	-
2705	სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახური	2,901.0	2,901.0	2,901.0	2,901.0		-	2,901.0	-
	ხარჯები	2,601.0	2,601.0	2,601.0	2,601.0		-	2,646.2	45.2
	სუბსუდია	2,601.0	2,601.0	2,601.0	2,601.0		-	2,646.2	45.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	300.0	300.0	300.0	300.0		-	254.8	-45.2

სამინისტროს დამტკიცებული წლიური საბიუჯეტო ასიგნებები გაზრდილია 1000,0 ათასი ლარით აღნიშნული თანხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო სამინისტროს აპარატს.

გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გაზრდილ იქნა სამინისტროს აპარატის ასიგნებები 300.0 ათასი ლარით და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის ასიგნებები 700.0 ათასი ლარით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ასიგნებების 1000.0 ათასი ლარით შემცირების ხარჯზე.

სამინისტროს აპარატისთვის, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და მის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის 2009 წლის პერიოდში დაზუსტებული გეგმით გამოსაყოფი ასიგნებების მოცულობები წარმოდგენილია დიაგრამის სახით:



- სამინისტროს აპარატი - 4,530.2
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტი - 109,862.9
- არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური - 2,372.9
- სსიპ-სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი - 525
- სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახური - 2,901

ხარჯთაღრიცხვის ცვლილების დოკუმენტები შესაბამისობაშია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 27 მარტის N189 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების წესით“ განსაზღვრულ და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.



1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით

სამინისტროს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 120,192.0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 118,906.4 ათასი ლარი.

ცხრილი №2 სამინისტროს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით შესრულების მდგომარეობა (ათას ლარებში)

სარჯების ჩამონათვალი	დაზუსტებული გეგმით	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)	შესრულება მთლიან საკასოსთან (%)	სხვაობა (აუთვისტბლიბა) (2-3)
1	2	3	4	5	6	7
სულ სამინისტროში	120,192.00	118,906.40	83,865.50	-35,040.90	100%	1,285.60
ხარჯები	84,688.40	83,520.80	83,865.50	344.70	70%	1,167.60
შრომის ანაზღაურება	32,846.10	32,798.30	32,798.30	0.00	28%	47.80
საქონელი მომსახურება	და 45,830.40	45,029.40	45,302.00	272.60	38%	801.00
სუბსიდიები	3,132.80	3,128.20	3,126.20	-2.00	3%	4.60
გრანტები	0.00	-	0.60	0.60	0.00	-
სოციალური უზრუნველყოფა	210.00	195.60	195.80	0.20	0%	14.40
სხვა ხარჯები	2,669.20	2,369.40	2,442.60	73.20	2%	299.80
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	4,675.80	4,675.80	0%	0.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	35,306.20	35,276.10	-	-35,276.10	30%	30.10
ვალდებულებების კლება	197.40	109.50	-	-109.50	0%	87.90

სარჯების ჩამონათვალი	დაზუსტებული გეგმით	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)	შესრულება მთლიან საკასოსთან (%)	სხვაობა (აუთვისტ ბლობა) (2-3)
1	2	3	4	5	6	7
სულ სამინისტროს აპარატში	4,530.2	4,402.7	3,918.3	(484.4)	100%	127.5
ხარჯები	4,026.2	3,904.8	3,918.3	13.5	89%	121.4
შრომის ანაზღაურება	1,841.0	1,794.1	1,794.1	-	41%	46.9
საქონელი და მომსახურება	1,146.2	1,083.7	1,097.0	13.3	25%	62.5
სოციალური უზრუნველყოფა	25.1	16.9	17.1	0.2	0%	8.2
სხვა ხარჯები	1,013.9	1,010.2	1,010.2	-	23%	3.7
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	103.7	103.7	0%	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	504.0	497.9	-	(497.9)	11%	6.1
სულ სასჯელადსრულების დეპარტამენტი	109,862.9	108,723.3	75,046.9	(33,676.4)	100%	1,139.7
ხარჯები	75,745.7	74,713.7	75,046.9	333.2	69%	1,032.0
შრომის ანაზღაურება	29,779.7	29,779.4	29,779.4	-	27%	0.3



საქონელი და მომსახურება	44,136.8	43,401.0	43,660.4	259.4	40%	735.8
გრანტები	-	-	0.6	0.6	0%	-
სოციალური უზრუნველყოფა	174.9	174.5	174.5	-	0%	0.4
სხვა ხარჯები	1,654.2	1,358.8	1,432.0	73.2	1%	295.4
მირითადი მოხმარება	კაპიტალის	-	-	4,156.6	4,156.6	0%
არაფინანსური ზრდა	აქტივების	33,919.9	33,900.1	-	(33,900.1)	31%
გაღდებულებების კლება		197.4	109.5	-	(109.5)	0%
სულ არასაპატიმრო სასკონელადსრულების და პრობაციის ეროვნულ ცენტრში	2,372.8	2,360.7	1,953.0	-407.7	1.0	12.1
		1,783.7	1,774.1	1,774.1	-	0.8
ხარჯები		1,225.4	1,224.9	1,224.9	-	0.5
შრომის ანაზღაურება		547.3	544.7	544.7	-	0.2
საქონელი და მომსახურება		10.0	4.2	4.2	-	5.8
სოციალური უზრუნველყოფა		1.0	0.4	0.4	-	0.6
სხვა ხარჯები						
მირითადი მოხმარება	კაპიტალის	-	-	178.9	178.9	-
არაფინანსური ზრდა	აქტივების	589.1	586.6	-	-586.6	0.2
სულ სსიპ "სასკონელადსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრი"	525.0	524.9	484.5	(40.4)	100%	0.1
სუბსიდიები		486.6	486.5	484.5	(2.0)	93%
არაფინანსური ზრდა	აქტივების	38.4	38.4	-	(38.4)	7%
სულ სსიპ "იურიდიული დამსარტნის სამსახური"	2,901.0	2,894.7	2,641.6	(253.1)	100%	6.3
სუბსიდიები		2,646.2	2,641.6	2,641.6	-	91%
არაფინანსური ზრდა	აქტივების	254.8	253.1	-	(253.1)	9%
						1.7

სამინისტროს სისტემაში 2009 წელს გაწეული საკასო ხარჯების შესახებ ინფორმაცია კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამის სახით:





სამინისტროს აპარატში - სხვაობა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის შეადგენს 13.5 ათას ლარს, რაც ძირითადად გამოწვეულია საქონელი და მომსახურების მუხლით სხვა სამინისტროებიდან და ორგანიზაციებიდან მცირეფასიანი ინვენტარის უსასყიდლოდ გადმოცემით.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტში - სხვაობამ დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის შეადგინა 1,139.7 ათასი ლარი. აქედან აუთვისებელი - რესურსის სახით დარჩა 464.0 ათასი ლარი, ხოლო გადაუხდელი ვალდებულება კი 675.7 ათასი ლარი.

- რესურსის სახით აუთვისებელი თანხა ძირითადად შედგება სხვა ხარჯების მუხლით - 269.8 ათასი ლარისგან, რომელიც გათვალისწინებული იყო სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების გადასახდელად და საქონელი და მომსახურების მუხლით - 101.5 ათასი ლარი, რომელიც გათვალისწინებული იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. აღნიშნული თანხების გადახდა გადაიდო 2010 წლისათვის.
- გადაუხდელი ვალდებულებების მუხლით სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ოფისის მუხლში წლის ბოლოსათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხებზე ვალდებულების აღებით, ხოლო რიგ შემთხვევებში შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის მომავალი წლის დასაწყისში წარმოდგენით.

სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და საკასო ხარჯს შორის 333.2 ათასი ლარი ძირითადად მიღებულია საქონელი და მომსახურების (259.4 ათასი ლარი) და სხვა ხარჯების (73.2 ათასი ლარი) მუხლებით.

სხვა ხარჯების მუხლის ფაქტობრივი ხარჯის მეტობა საკასო ხარჯზე 73.2 ათასი ლარით გამოწვეულია იმით, რომ სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი სი აი“-სთვის გასულ წლებში გადარიცხული თანხები შესაბამის პერიოდის ხარჯებში არ აისახებოდა და ხარჯებში გატარდა 2009 წელს.

საქონელი და მომსახურების ფაქტობრივ ხარჯსა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა 259.4 ათასი ლარი გამოწვეულია შემდეგ გარემოებათა გამო:

- ოფისის ხარჯების ქვემუხლით ფაქტობრივი ხარჯი საკასო ხარჯს აღემატება 336.1 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია წლის ბოლოს 44.2 ლარის ფაქტობრივად გაწეული კომუნალური ხარჯების დაკრედიტებით და მარაგებიდან მცირეფასიანი ინვენტარის ექსპლუატაციაში გაშვებით.
- კვების ხარჯების ქვემუხლით ფაქტობრივ ხარჯი დაფიქსირებულია 84.5 ათასი ლარით მეტი ვიდრე საკასო ხარჯი, რაც პატიმართა კვების ხარჯების დაკრედიტებით (66.3 ათასი ლარი) და წლის დასაწყისში არსებული კვების პროდუქტების მარაგების ხარჯით არის გამოწვეული.
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების ქვემუხლში საკასო ხარჯის მეტობა ფაქტიურ ხარჯზე 244.7 ათასი ლარით, ძირითადად გამოწვეულია წლის ბოლოს მომწოდებლებისთვის 2010 წელს გარდამავალი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი გადარიცხვებით.
- სამედიცინო ხარჯების ქვემუხლში საკასო ხარჯის მეტობა ფაქტობრივ ხარჯზე 90,7 ათასი ლარით გამოწვეულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წლის დასაწყისში არსებული მედიკამენტების ნაშთების წლის ბოლოს გაზრდის შედეგად.
- ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ქვემუხლში ფაქტობრივ ხარჯში ასახულია საკასო ხარჯთან შედარებით 150.2 ათასი ლარით მეტი, რაც გამოიწვეულია წლის დასაწყისში ნაშთად რიცხული საწვავის და სათადარიგო ნაწილების ხარჯით.
- სხვა დანაჩენი საქონელი და მომსახურების ქვემუხლში ფაქტობრივ ხარჯში ასახულია საკასო ხარჯთან შედარებით 24.6 ათასი ლარით მეტი, რაც ძირითადად გამოწვეულია 2008 წლის ბოლოს ექსტრადირების ხარჯებსათვის ანგარიშვალდებულ პირებზე თანხების წინასწარ გადარიცხვით, რომელთა მიერ ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილია 2009 წლის დასაწყისში .



არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურში- სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის შეადგენს 12.1 ათას ლარს, რაც ძირითადად გამოწვეულია სოციალური უზრუნველყოფის მუხლით (5.6 ათასი ლარი) - საავადმყოფო ფურცელზე და დეკრეტულ შვებულებაში მყოფ პირთა რიცხოვნობის პროგნოზირებულ მაჩვენებელთან შედარებით სიმცირის გამო. საქონელი და მომსახურების მუხლით - 2.6 ათასი ლარის და არაფინანსური აქტივების მუხლით - 2.5 ათასი ლარის აუთვისებლობა განპირობებულია ხაზინაში წლის ბოლოს ვალდებულებების აღების შეჩერების გამო.

სსიპ-სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში- სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და საკასო ხარჯს შორის 2.0 ათასი ლარი წარმოქმნილია საანგარიშო პერიოდის ბოლოს მატერიალური მარაგის (საწვავის ტალონები) ნაშთის გაზრდით.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტზე 2009 წლის გადახდებზე:

შრომის ანაზღაურება

№4 ცხრილი (ათას ლარებში)

დასახელება	სამინისტროს აპარატი	სასჯელაღ-დეპარტამენტი	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური	სულ
შრომის ანაზღაურება				
ხელფასები	1,794.1	29,779.3	1,224.9	32,798.3
ხელფასები ფულადი ფორმით	1,794.1	29,779.3	1,224.9	32,798.3
თანამდებობრივი სარგო	1,189.5	22,357.9	1,004.4	24,551.8
წოდებრივი სარგო	-	199.4	-	199.4
პრემია	593.5	4,897.0	220.5	5,711.0
დანამატი	11.1	-	-	11.1
კომპენსაცია	-	2,325.0	-	2,325.0

სამინისტროს აპარატში შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯების ანალიზით დადგინდა რომ ამ მუხლით გაწეული ხარჯების 33.1% (593.5 ათასი ლარი) შეადგენს პრემიის ქვემუხლით გაწეულ ხარჯს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამინისტროს აპარატის რიგ თანამშრომლებზე გაცემული პრემიები რამოდენიმეჯერ (4-5 ჯერ) აღემატება მათ თანამდებობრივ სარგოს.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება და მივლინებები

№5 ცხრილი (ათას ლარებში)

დასახელება	სამინისტროს აპარატი	სასჯელაღ-დეპარტამენტი	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური	სულ
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	102.1	1,745.1	77.3	1,924.5
მივლინებები	98.3	41.4	28.4	168.1



სამინისტროს აპარატის მიერ შტაგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ქვემუხლით გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯების ანალიზით დადგინდა, რომ ხარჯებში ასახული 102.1 ათასი ლარიდან 17.7 ათასი ლარის ხარჯი წარმოადგენს შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაცემულ ერთდროულ ფულად ჯილდოს, თუმცა ამ ხარჯების გაწევა შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული არ ყოფილა.

სამინისტროს აპარატის მიერ მივლინებების ქვემუხლით გაწეული ხარჯების შესწავლით დადგინდა, რომ ადგილი აქვს სადღედამისო და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების დადგენილი ნორმის ზემოთ ანაზღაურებას³. კერძოდ, მინისტრის 2009 წლის 30 ივნისის №416 ბრძანების საფუძველზე ქ.ქუთაისში და ქ.ზეუგდიდში პრობაციის ბიუროების გახსნის და დაბა ხელვაჩაურში №3 საპყრობილები პურის საცხობის (თონის) გახსნის ონისმიებებში მონაწილეობის მისაღებად 1-4 აგვისტოს მივლინებულ მინისტრის მოადგილეებს გ.ჩახნაშვილს და ლ.ზარანდიას და ადმინისტრაციის უფროსს გ.მუმლაძეს ანაზღაურებული აქვთ ქობულეთში მდებარე ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმრო „GPH"-ის ნომრებში 3 დღით კანთავსების ღირებულება 2,166.95 ლარი (გ.ჩახნაშვილი- 825.75 ლარი; ლ.ზარანდია- 606.97 ლარი; გ.მუმლაძე-734.23 ლარი) და კვების ღირებულება 1,055.6 ლარი (გ.ჩახნაშვილი-354.2 ლარი; ლ.ზარანდია- 175.35 ლარი; გ.მუმლაძე-526.05 ლარი).

ოფისის ხარჯები

№6 ცხრილი (ათას ლარებში)

დასახელება	სამინისტროს აპარატი	სასჯელად. დეპარტამენტი	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური	სულ
ოფისის ხარჯები				
წყლის ხარჯი	25.7	6,470.1	14.7	6,510.5
ელ.ენერგია	24.5	3,065.8	8.0	3,098.3
ბუნებრივი აირის ხარჯი	2.8	2,492.7	-	2,495.5
კაცშირგაბმულობის ხარჯი	72.5	416.6	53.0	542.1
საფოსტო მომსახურების ხარჯი	5.8	256.8	15.0	277.7
მიმდინარე რემონტის ხარჯი	103.6	280.9	107.8	492.3
საკანცელარიო და სამეცნიერო საქონელის ხარჯი	45.8	405.6	55.6	506.9
დასუფთავების ხარჯი	53.6	-	-	53.6
კომპიუტერული აქსესუარები და კარტრიჯების შეძენა-დამუხტვა	25.3	41.7	9.2	76.3
საიფასე ინვენტარის, ტექნიკისა და ავეჯის შეძენა-შენახვის ხარჯი	141.1	439.2	61.0	641.3
დიზელის ხარჯი გენერატორებისთვის	-	56.6	-	56.6
ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მომსახურება	-	155.7	-	155.7
სულ	500.7	14,081.7	324.3	14,906.7

³ ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინებისას სადღედამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრება დღეში 15 ლარის ოდენობით, ხოლო საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებისათვის მოსამსახურეს ეძლევა თანხა არაუმეტეს საშუალო კლასის სასტუმროს ნომრის ღირებულებისა



როგორც ზემოაღნიშნული ცხრილიდან ჩანს ოფისის ქვემუხლიდან ყველაზე დიდი ოდენობის საკასო ხარჯი გაწეულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ წყლის მოხმარებისთვის. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2009 წლის პერიოდში წყლის მოხმარების ფაქტიურ ხარჯში აღრიცხულია 6,247.7 ათასი ლარი. რიგ შემთხვევებში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გახარჯული წყლის საშუალო ოდენობა დღეში ერთ პატიმარზე 400 ლიტრიდან (1.5 ლარი) 3700 ლიტრამდე (16.1 ლარი) შეადგენს. ასე მაგალითად, თბილისის № 7 საპყრობილები წლის განმავლობაში საშუალოდ 44 პატიმარზე გახარჯულია 58.9 ათასი მ^3 წყალი (259.0 ათასი ლარი; დღეში საშუალოდ 1 პატიმარზე 3,665 ლიტრი - 16.1 ლარი); ქუთაისის № 2 საპყრობილები საშუალოდ 853 პატიმარზე გახარჯულია 203.4 ათასი მ^3 წყალი (712.0 ათასი ლარი; დღეში საშუალოდ 1 პატიმარზე 653 ლიტრი - 2.3 ლარი); რუსთავის № 1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში საშუალოდ 696 პატიმარზე გახარჯულია 165.9 ათასი მ^3 წყალი (580.5 ათასი ლარი; დღეში საშუალოდ 1 პატიმარზე 653 ლიტრი - 2.3 ლარი); რუსთავის № 6 საპყრობილები საშუალოდ 1,334 პატიმარზე გახარჯულია 271.5 ათასი მ^3 წყალი (950.4 ათასი ლარი; დღეში საშუალოდ 1 პატიმარზე 558 ლიტრი - 1.9 ლარი); რუსთავის № 2 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში საშუალოდ 3,123 პატიმარზე გახარჯულია 493.0 ათასი მ^3 წყალი (1,725.6 ათასი ლარი; დღეში საშუალოდ 1 პატიმარზე 433 ლიტრი - 1.5 ლარი); მაშინ როდესაც ანალოგიურ დაწესებულებებში დღეში 1 პატიმარზე გახარჯულია საშუალოდ 68-174 ლიტრი წყალი. ასე მაგალითად, თბილისის № 8 საპყრობილები საშუალოდ 3,621 პატიმარზე გახარჯულია 230.4 ათასი მ^3 (1,013.9 ათასი ლარი; დღეში საშუალოდ 1 პატიმარზე 174 ლიტრი - 0.7 ლარი); თბილისის № 10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში საშუალოდ 340 პატიმარზე გახარჯულია 23.7 ათასი მ^3 (104.6 ათასი ლარი; დღეში საშუალოდ 1 პატიმარზე 68 ლიტრი - 0.8 ლარი). აღნიშნული ხარჯების რეალობა მოითხოვს დეტალურ შესწავლას.

წარმომადგენლობითი ხარჯი

წარმომადგენლობითი ხარჯი სამინისტროს აპარატის მიერ გაწეულია 25.0 ათასი ლარი (მ.შ.სტუმრების მიღებისთვის გათვალისწინებული ხარჯები 16.1 ათასი ლარი, სუვენირები და საჩუქრები 7.8 ათასი ლარი და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების ხარჯები 1.1 ათასი ლარი), ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ 4.9 ათასი ლარი გახარჯულია კულტურულ-სანახაობითი უონისძიების დასაფინანსებლად.

წარმომადგენლობითი ხარჯების ქვემუხლით გაწეული ხარჯი, 6.4 ათასი ლარი, უნდა მიკუთვნებულიყო არა წარმომადგენლობითი ხარჯების ქვემუხლს, არამედ სხვა დანარჩენი საქონელის და მომსახურების ქვემუხლს⁴.

⁴ არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის (დანართი N13 - ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია) მოთხოვნები.



ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

№7 ცხრილი (ათას ლარებში)

დასახელება	სამინისტროს აპარატი	სასჯელად. დეპარტამენტი	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური	სულ
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები				
ა/მანქანების საწვავის შეძენა	95.8	543.4	72.1	711.3
ა/მანქანების რეცხვის ტალონები	10.8	-	1.0	11.8
ავტოტექმომისახურების ხარჯები	48.9	336.5	30.1	415.5
ა/მ სათადარიგო ნაწილები	20.8	77.8	-	98.7
ა/მ მცირეფასიანი აქსესუარები	1.7	-	-	1.7
ა/ტრანსპორტით გადაზიდვის ხარჯები	1.3	4.3	2.2	7.8
ლიფტების მომსახურების ხარჯი	-	3.3	-	3.3
სულ	179.4	965.4	105.3	1,250.1

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ქვემუხლით გაწეული ხარჯების შესწავლით დადგინდა, რომ სამინისტროს აპარატის მიერ 179.4 ათასი ლარის საკასო ხარჯიდან 95.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი გაწეულია 10 თვის განმავლობაში სამინისტროს 17 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საწვავით უზრუნველყოფაზე. მინისტრის ავტომანქანებზე ლიმიტის გარეშე გაცემულია 27,680 ლიტრი ბენზინი და 860 ლიტრი დიზელი; მინისტრის მოადგილებმა და სამინისტროს აპარატის დეპარტამენტებმა საწვავი მოიხმარეს დადგენილი ლიმიტების ფარგლებში (460 ლიტრი - 10400 ლიტრი ბენზინი და 3500 ლიტრი დიზელი დეპარტამენტების მიხედვით) სულ 59,850 ლიტრი ბენზინი და 3,750 ლიტრი დიზელი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 2009 წელს სამინისტროს აპარატის მიერ 95.8 ათას ლარად შეძენილ 3 ერთეული ავტომანქანის შეკეთებაზე გახარჯულია 25.7 ათასი ლარი. დიდი ოდენობითაა ავტოტრანსპორტზე სარემონტო ხარჯები გაწეული სასჯელადსრულების დეპარტამენტის მიერაც. რიგ ემთხვევებში რემონტზე გაწეული ხარჯი ავტომანქანის ნარჩენ საბალანსო ღირებულების 60%-ს, რიგ შემთხვევებში კი მის ნარჩენ ღირებულებასაც აღემატება. აღნიშნული ხარჯების რეალობა მოითხოვს დეტალურ შესწავლას. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია №9 ცხრილში.

ცხრილი №9 (ათას ლარებში)

ა/მ მარკა (სახელმწიფო ნომერი)	ავტომანქანი საწყისი ღირებულება	ავტომანქანის ნარჩენი ღირებულება 31 იანვარი, 2009 წ	ავტომანქანის რემონტის თანხა	%
ა/მ მერსედესი ILI-734	27,991	15,395.1	9,214.1	60%
ა/მ BMW IVI-121,	19,800	10,929.6	6,851.7	63%
ა/მ მერსედესი DON-690	21,228	8,491.2	5,542.5	65%
ა/მ მერსედესი SOO-327	28,240	15,532.0	11,073.0	71%
ა/მ მერსედესი SOO-458	26,100	14,355.0	10,301.5	72%
BMW 735 I QXQ-949	54,831	36,407.8	26,321.3	72%
ა/მ მერსედესი SKY-895	21,800	8,720.0	7,487.4	86%
BMW NYS-077	49,900	27,544.8	26,937.0	98%
ა/მ მერსედესი AWA-112	15,738	6,295.2	8,310.1	132%
ა/მ მერსედესი WVW-036	21,411	5,564.4	8,544.1	154%



49

კვების და რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები

საქონელი და მომსახურების მუხლის კვების ხარჯებზე - 22,677.5 ათასი ლარი (მ.შ. 9.7 ათასი ლარი ძალლების კვებაზე) ხოლო რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების ქვემუხლებით - 1,109.6 ათასი ლარი (მ.შ რბილი ინვენტარი - 507.9 ათასი ლარი, ჰიგიენური საქონელი - 20.2 ათასი ლარი, უნიფორმის შეძენის ხარჯი - 500.7 ათასი ლარი, სპორტული ინვენტარი და აღჭურვილობა - 80.8 ათასი ლარი) გაწეულია მხოლოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ.

სამედიცინო ხარჯები

რაც შეეხება სამედიცინო ხარჯებს მისი საკასო ხარჯი გაწეულია სამინისტროს აპარატისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია №10 ცხრილში.

№10 ცხრილი (ათას ლარებში)

დასხელება	სამინისტროს აპარატი	სასჯელაღ. დეპარტამენტი	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური	სულ
სამედიცინო ხარჯები				
მედიკამენტების და ინვენტარის	2.2	1,344.2	-	1,346.4
მკურნალობის	-	475.6	-	475.6
დეზინფექციის და დერატიზაციის	0.7	26.9	-	27.6

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ საქონელი და მომსახურების მუხლის კვების ხარჯების, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების და სამედიცინო ხარჯების ქვემუხლებით გაწეული ხარჯების კანონიერება შესწავლილი უნდა იქნას დეტალური შემოწმებით, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ასევე ამ დეპარტამენტის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

სამინისტროს აპარატის და 2009 წლის პერიოდში სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ საქონელი და მომსახურების მუხლის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ქვემუხლით გაწეული საკასო ხარჯის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია №11 ცხრილში.

№11 ცხრილი (ათას ლარებში)

დასხელება	სამინისტროს აპარატი	სასჯელაღ. დეპარტამენტი	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური	სულ
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება				
ექსპერტიზის ხარჯები	38.3	564.4	-	602.7
გადრაგირების და ექსტრადაციის ხარჯი	-	293.6	-	293.6
საკონსულტაციო მომსახურება	80.9	-	-	80.9
იჯარა	-	27.9	-	27.9



კადრების მოშადება-გადამზადების ხარჯები	14.2	-	3.6	17.8
ნარჩენების გატანის	-	16.4	-	16.4
სხვა ხარჯი	41.9	25.6	5.8	73.3
სულ	175.3	927.8	9.3	1112.4

სამინისტროს აპარატის მიერ საკონსულტაციო მომსახურეობაზე გაწეული 80.9 ათასი ლარიდან 48.0 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია სამედიცინო დეპარტამენტის შესაქმნელად გასატარებელი შესაბამისი რეფორმებისთვის, მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილის ა.სეფერთელაძის მიერ არსებული ბაზრის მოკვლევით შერჩეულ, ამ დარგის სპეციალისტ ფიზიკურ პირ ნიკოლოზ რამიშვილთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო 32.9 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია სამინისტროს PR სტრატეგიის ზა სამოქმედო გეგმის შესყიდვის მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ე.ჭუმბურიძის მიერ არსებული ბაზრის მოკვლევით შერჩეულ აშშ-ს მოქალაქე ბარი ჯექონთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხარჯების გაწევის დამადასტურებლად წარმოდგენილია ზემოაღნიშნულ ნ.რამიშვილთან და ბ.ჯექიშონთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები, შესრულებული სამუშაოების შესახებ. თუმცა, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ადმინისტრაციის უფროსის მ.ბენიას, ეკონომიკური დეპარტარტამენტის უფროსის ა.ჯებისაშვილის და სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის დასათანანის მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა ზემოაღნიშნული საკონსულტაციო სამუშაოების სამინისტროში დანერგვის ან შედეგის ამსახველი ინფორმაცია. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ნ. რამიშვილი შეყვანილი იყო სამინისტროს საკონდინაციო საბჭოს შემადგენლობაში როგორც ექსპერტი მინისტრის 2009 წლი 24 სექტემბრის № 602 ბრძანებით. სამინისტროს აპარატის მიერ საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეული ხარჯის კანონიერება და მიზანმიმართულობა შესწავლილი უნდა იქნას დეტალური შემოწმებით.

სხვა ხარჯები

№12 ცხრილი (ათას ლარებში)

დასახელება	სამინისტროს აპარატი	სასჯელად. დეპარტამენტი	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური	სულ
სხვა ხარჯების მუხლი				
დასუფთავების მოსაკრებელი	2.1	32.4	0.4	34.9
სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახადი	-	126.6	-	126.6
დაზღვევა	8.1	1,193.2	-	1,201.3
საბაჟო გადასახადი	-	6.6	-	6.6
ააიპ "ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი"	1,000.0	-	-	1,000.0
სულ	1,010.2	1,358.8	0.4	2,369.4

სამინისტროს აპარატის მიერ სხვა ხარჯების მუხლით გაწეული 1,010.2 ათასი ლარის საკასო ხარჯიდან, 1000.0 ათასი ლარი გადარიცხულია ფონდისთვის, რაც განხილულია ამავე აქტის 1.3. საკითხში.

სასჯელადსრულების დეპარტამენტის მიერ სხვა ხარჯების მუხლით გაწეული საკასო ხარჯების ანალიზით დადგინდა, რომ შპს „მესამე“ ირიცხებოდა კრედიტორად 120.6 ათასი ლარის ოდენობით. სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელადსრულების დეპარტამენტს დაეკისრა აღნიშნული შპს-სთვის



126.6 ათასი ლარის (120.6 ათასი ლარი კრედიტორული დავალიანება, 5.0 ათასი ლარი სახელმწიფო ბაჟი და 1.0 ათასი ლარი ადვოკატის ხარჯი) გადახდა. ამასთან, შპს „მესამე“-სთვის გადარიცხული 126.6 ათასი ლარი მთლიანად მიკუთვნებულ იქნა სხვა ხარჯების მუხლს⁵. 120.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი კი უნდა მიკუთვნებოდა იმავე (კერძოდ, არაფინანსური აქტივების) მუხლს, რა მუხლითაც ირიცხებოდა კრედიტორული დავალიანება.⁶

სუბსიდიები

2009 წელს სსიპ „სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრს“ და სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურს“ სუბსიდიების მუხლით გაწეული აქვთ საკასო ხარჯი სულ 3,128.2 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია №13 ცხრილში.

№13 ცხრილი (ათას ლარებში)

დასახელება	სსიპ სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრი			სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური	სულ
	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	სულ		
შრომის ანაზღაურება	174.4	16.1	190.5	2,022.60	2,213.10
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	45.2	0	45.2	41.3	86.5
ტრენინგის სურსათით უზრუნველყოფა	26.6	37.8	64.4	0	64.4
კომუნალური ხარჯები	41.1	0	41.1	45.4	86.5
საკანცელიო და სამეურნეო ხარჯი	10.1	10.7	20.8	33.1	53.9
კაფეირგაბმულობის ხარჯი	12.8	0	12.8	136.4	149.2
საოფისე ტექნიკა და ინვენტარი	11	0	11	37.8	48.8
ოფისის დაცვის მომსახურება	36	0	36	0	36
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	14.7	0	14.7	15.8	30.5
საწვავი	18.7	0	18.7	115.5	134.2
ტრანსპორტის მიმდინარე რემონტი და მძლლობების ხარჯი	3.4	11.7	15.1	62	77.1
მივლინების ხარჯი	0.9	0	0.9	18.3	19.2
დაზღვევა	9.8	0	9.8	46.1	55.9
იჯარა და ქირავნობა	0	0	0	64.5	64.5
სხვა ხარჯები	5	0.8	5.8	2.8	8.6
სულ	409.5	77.1	486.6	2,641.70	3,128.20

⁵ არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის (დანართი N13 - ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია) მოთხოვნები.

⁶ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, სხვა ხარჯების მუხლს მიკუთვნება სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილების მიხედვით დაკისრებული საურავები და საჯარიმო საწევიები (მ.შ. სასამართლოს მიერ იძულების წესით დაკისრებული სააღსრულებლო თანხის გადახდის ხარჯები).



არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების შეძენის ხარჯები ქვემუხლების მიხედვით მოცემულია ცხრილის სახით
№14 ცხრილი (ათას ლარებში)

დასახელება	სამინისტრო ს აპარატი	სასჯელადსრულების დეპარტამენტი	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაგიის ეროვნული სამსახური	სსიპ სასჯელადსრულებისა და პრობაგიის სასწავლო ცენტრი	სსიპ იურიდიული დამარტინის სამსახური	საკასო ხარჯი
არაფინანსური აქტივები	497.90	33,900.10	586.60	38.40	253.00	35,276.00
ძირითადი აქტივები სულ	497.90	33,900.10	586.60	38.40	253.00	35,276.00
შენობა-ნაგებობები	21.00	33,106.30	253.80	18.30	68.70	33,468.10
საცხოვრებელი შენობები	-	12.40	-	-	-	12.40
არასაცხოვრებელი შენობები	21.00	29,711.20	253.80	8.30	68.70	30,063.00
სხვა წაგებობები	-	3,382.70	-	10.00	-	3,392.70
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	468.50	762.20	207.30	10.30	184.30	1,632.60
სატრანსპორტო საშუალებები	95.80	131.10	12.00	-	101.80	340.70
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	372.70	631.10	195.20	10.30	82.50	1,291.80
სხვა ძირითადი აქტივები	8.50	31.60	125.50	9.80	-	175.40
არამატერიალური ძირითადი აქტივები	8.50	31.60	125.50	9.80	-	175.40

რეკომენდაციები:

სამინისტროს აპარატმა და სასჯელადსრულების დეპარტამენტმა:

1. სამივლინებო ხარჯების გაწევისას იხელმძღვანელონ, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესით;

2. საკასო ხარჯების გაწევა განახორციელონ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკირების შესაბამისად.

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯის მდგომარეობა

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2009 წლის პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, სამინისტროს თანხები არ გამოჰყოფია.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 23 ივნისის №442 განვარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროს გამოეყო 1,000.0 ათასი ლარი, არასამეწარმე (არაკომერციული) იურიდიული პირის – “სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდისათვის” გადასაცემად.



ფონდი დაარსდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 6 ივნისის №250 ბრძანებით⁷. გაფორმებული ხელშეკრულებით⁸ სამინისტრომ ივალდებულა გამოყოფილი 1,000.0 ათასი ლარის ფონდის მიზნების განსახორციელებლად, ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხვა. აღნიშნული ხელშეკრულებით სამინისტრო უფლებამოსილი იყო მოეთხოვა დაფინანსების მიმღებისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება, ხოლო დაფინანსების მიმღებმა ივალდებულა მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტროში წარედგინა ფინანსური ანგარიში ზემოაღნიშნული თანხის ხარჯვის მდგომარეობის შესახებ. თანხის ხარჯვის მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ შემდგომში მოთხოვნილი არ ყოფილა და ინახება ფონდში.

აუდიტის მიმდინარეობისას კონტროლის პალატის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ფონდიდან მიღებული ინფორმაციით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 1,000.0 ათასი ლარი, შეტანილი იქნა სადეპოზიტო ანგარიშებზე, რის შედეგადაც მასზე დარიცხული პროცენტის სახით კონდმა დამატებით მიიღო შემოსავალი 14.3 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხები 2010 წლის მარტის ჩათვლით გაიხარჯა შემდეგნაირად: კონკურსებში გამარჯვებული პროექტების დაფინანსებაზე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებზე გადარიცხულია -786,9 ათასი ლარი; შრომის ანაზღაურებაზე (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) -128.3 ათასი ლარი; ოფისის რემონტზე-8,1 ათასი ლარი; საოფისე ინვენტარის და ტექნიკის შეძენაზე-14.5 ათასი ლარი; ავტომანქანის შენახვაზე-0.5 ათასი ლარი; ორგანიზაციულ ხარჯებზე -24.1 ათასი ლარი; სხვადასხვა ოფისის ხარჯებზე-3.9 ათასი ლარი; ინტერნეტით მომსახურებაზე 3.0 ათასი ლარი; ბანკის საკომისიო-1.1 ათასი ლარი; ბიუჯეტში გადახდილი დღგ-4.2 ათასი ლარი; ოფისის იჯარაზე 0.7 ათასი ლარი. 2010 წლის 29 მარტის მდგომარეობით ნაშთად ერიცხება 39.0 ათასი ლარი. ფონდმა დააფინანსა 89 პროექტი. მიღებული ინფორმაციის თანახმად, თითოეული დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია ფონდში წარმოადგინოს ხარჯვის შესახებ ანგარიში.

1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა

2009 წლის განმავლობაში სამინისტროს გამოყოფილი ფულადი გრანტი (მ.შ. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სამსახურს-109.2 ათასი ლარი, ს.ს.ი.პ. „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრ“-ს - 77.1 ათასი ლარი, სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურ“-ს - 140.6 ათასი ლარი), საიდანაც ბიუჯეტით განსაზღვრული იყო მხოლოდ 186.4 ათასი ლარი და არ იყო გათვალისწინებული სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-სთვის გამოსაყოფი -140.6 ათასი ლარი. ამ პერიოდში გახარჯულია გრანტი სულ 298.8 ათასი ლარი.

სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“ - წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით სისტემის რეფორმების განხორციელების მიზნით, გრანტის სახით გამოყოფილი 140.6 ათასი ლარიდან მიღებული და გახარჯულია 112.5 ათასი ლარი. მ.შ. ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“-დან გამოყოფილი 62.0 ათასი ლარიდან გახარჯულია 57.8 ათასი ლარი, ფონდი „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ მიერ გამოყოფილი 64.4 ათასი ლარიდან - 40.6 ათასი ლარი და გაეროს პროგრამა „UNISEF“-ის ფარგლებში გამოყოფილი 14.2

⁷ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 11 მაისის №233 ბრძანებულება

⁸ 2009 წლის 8 ივნისს გაფორმებული №ფ/02-1 ხელშეკრულების თანახმად (დამოწმებულია მინისტრის მოადგილის გ. ჩახნაშვილის და ზემოაღნიშნული ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ლალი ყიფშიძის ხელმოწერებით)



ათასი ლარი სრულად. აღნიშნული თანხები გახარჯულია ჰონორარების სახით (მოწვეულ სპეციალისტებზე) - 26.6 ათასი ლარი, მივლინებებზე - 8.2 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 17.5 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (სემინარების ორგანიზება) - 19.4 ათასი ლარი, საოფისე და კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე - 40.8 ათასი ლარი. გარდა აღნიშნულისა 2009 წელს კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე გახარჯულია წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან 1.6 ათასი ლარი. გარდა ამისა, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“-დან მიღებული აქვს სასაქონლო გრატი 56.0 ათასი ლარის ოდენობით. ამასთან, აღნიშნული სასაქონლო გრანტი სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშებსა და სამინისტროს კონსლიდირებულ ანგარიშებში წმინდა ღირებულების ანგარიშზე ასახულია აქტივების უსასყიდლოდ მიღების მუხლში, ნაცვლად გრანტების ქვემუხლისა.

არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური -109.2 ათასი ლარი გამოუყო “გაეროს ბავშვთა ფონდ”-მა პრობაციის ეროვნული სამსახურის ტერიტორიული ორგანოების კეთილმოწყობისათვის საჭირო ინვენტარის შეძენისა და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ზემოაღნიშნული თანხიდან სპეციალისტების შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია - 9.6 ათასი ლარი, მცირეფასანი ინვენტარის შესაძენად - 5.5 ათასი ლარი, კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად- 22.5 ათასი ლარი, სარემონტო სამუშაოებზე გახარჯულია-71.6 ათასი ლარი.

ს.ს.ი.პ. „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“ - გამოყოფილი 77.1 ათასი ლარიდან, “გაეროს ბავშვთა ფონდ”-მა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ტრეინინგების ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის გამოუყო 12.6 ათასი ლარი და არასრულწლოვანი პრობაციონერებისათვის კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების დაფინანსებისათვის 21.3 ათასი ლარი. ასევე “საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისამ” პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა სოციალურ მუშავთა ტრეინინგის/სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისათვისა და წიგნის გამოშვების მიზნით გამოუყო 43.2 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით ზემოაღნიშნული თანხები გახარჯულია შრომის ანაზღაურაბაზე (ექპერტების ჰონორარი) - 16.1 ათასი ლარი, საკანცელარიო საქონლის შეძენისთვის - 4.0 ათასი ლარი, კვების ხარჯებზე - 37.8ათასი ლარი, წიგნის მომზადება/გამოცემისთვის - 6.7 ათასი ლარი, ტრანსპორტის და მძღოლების ხარჯისთვის - 11.7 ათასი ლარი და სხვადასხვა ხარჯისთვის - 0.8 ათასი ლარი.

საჯელაღსრულების დეპარტამენტი - ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ექს ჯორჯია“-დან მიღებული აქვს ჰუმანიტარული დახმარების სახით 66.9 ათასი ლარის (40,073 აშშ დოლარი) ღირებულების სპეციალური ფეხსაცმელები (250 წყვილი ზამთრის და 20 წყვილი ზაფხულის). წარმოდგენილი დოკუმენტაციით 2009 წელში სპეციალური სამსახურის თანამშრომლებზე გაცემულია 4 წყვილი ზამთრის და 13 წყვილი ზაფხულის ფეხსაცმელი, ხოლო დანარჩენი ირიცხება საწყობში ნაშთის სახით.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით სამინისტროსთვის ფინანსური ვალდებულებების კლება განსაზღვრული არ ყოფილა. 2008 წლის დეკემბერის ბოლოს წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მოთხოვნის საფუძველზე⁹ აღნიშნული მუხლით განესაზღვრა ასიგნებები 197.4 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც ფაქტობრივად გახარჯულ იქნა მხოლოდ 109.5 ათასი ლარი. ამასთან დადგინდა, რომ 2008 წლის ბოლოს სადაზღვეო კომპანია სს „ალდაგი

⁹ 2009 წლის 23 თებერვლის №10/7-830 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წერილი



ბი სი აი“ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კრედიტორებში არ ირიცხებოდა, უფრო მეტიც იგი აღრიცხული იყო დებიტორად 298.3 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის 72.2 ათასი ლარი აუნაზღაურდა სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი სი აი“-ს. 2009 წლის პერიოდში ნაწარმოები ოპერაციების შედეგად კომპანია „ალდაგი ბი სი აი“-ზე წლის დასაწყისში რიცხული 298.3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება წლის ბოლოს შემცირებულია 158.6 ათას ლარამდე, მაგრამ აღნიშნული დავალიანების რეალობა ვერ დადგინდა, ვინაიდან 2009 წლის მარტში კრედიტში აისახა 739.1 (400.0+399.1) ათასი ლარი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილე დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების, დეპარტამენტის გარე დაცვისა და დაცვის სპეციალურ სამსახურში არსებული ჯარისკაცების და დეპარტამენტის თანამშრომლების სამედიცინო დაზღვევის ხარჯები, რომლის საფუძვლად წარმოდგენილი დოკუმენტები ზემოაღნიშნული თანხის შეუსაბამოა. ამასთან, ბარათზე სადაც მინიშნებული უნდა იყოს ბარათზე ასახული თანხის საფუძველი, მიწერილია „გასაშიფრია“. აუდიტის მსვლელობისას ვერ იქნა წარმოდგენილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი სი აი“-ს ერთიერთშედარების აქტი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი სი აი“-ს შორის ნაწარმოები ოპერაციების კანონიერება მოითხოვს დეტალურ შესწავლას.

სამინისტროს აპარატზე, სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებზე და მის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე რიცხული დებიტორული-კრედიტორული დავალიანების შესახებ წარმოდგენილია ინფორმაცია ცხრილში.

№15 ცხრილი (ათას ლარებში)

დასახელება	დებიტორული დავალიანება			კრედიტორული დავალიანება		
	წლის დასაწყისი	წლის ბოლოს	სხვაობა	წლის დასაწყისი	წლის ბოლოს	სხვაობა
სამინისტროს აპარატი	-	0.8	0.8	-	0.3	0.3
სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	9,028.4	16,431.5	7,403.1	11,641.5	10,751.6	(889.9)
არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური	-	-	-	-	-	-
სსიპ "სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრი"	0.2	0.1	(0.1)	-	-	-
სსიპ "იურიდიული დახმარების სამსახური"	52.5	4.2	(48.3)	-	4.2	4.2
სულ	9,081.1	16,436.6	7,355.5	11,641.5	10,756.1	(885.4)
ნაერთი ბალანსის მონაცემებით		16,432.4			10,756.1	
სხვაობა		4.2			-	

როგორც ზემოაღნიშნული ცხრილიდან ჩანს, სამინისტროს აპარატისა და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ შედგენილ ბალანსებში 2010 წლის 1 იანვრისათვის ასახული დებიტორული დავალიანებების მონაცემი არ ედრება ნაერთი ბალანსის მონაცემს (იხ. დანართები №4, №5, №6, №7), სხვაობა შეადგენს 4.2 ათას ლარს. აღნიშნული თანხა წარმოადგენს სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ანგარიშზე დებიტორული დავალიანების ნაშთს, რომელიც გრანტით შემენილ მომსახურეობაზე გადახდილი დღგ-ა. აღნიშნული თანხა სამინისტროს ნაერთ ბალანსში ასახული არ არის.

წლის დასაწყისში რიცხული 9,081.1 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება აუდიტის პერიოდში გაზრდილია 7,355.5 ათასი ლარით, რაც მირითადად გამოწვეულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არაფინანსური აქტივების მუხლით სამშენებლო ორგანიზაციებზე (შპს „პროექტი 21“, შპს სუპერ V“)



ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებიდან გამომდინარე თანხების წინასწარი გადარიცხვით. ხოლო წლის დასაწყისში რიცხული 11,641.5 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, აუდიტის პერიოდში შემცირებულია 885.4 ათასი ლარით, რაც მირითადად განპირობებულია შპს „აქსმშენზე“ 2008 წლის კრედიტორული დავალიანების დაფარვით.

სამინისტროს წმინდა ღირებულების ანგარიშზე თანხების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია ათას ლარებში ცხრილში.

№16 ცხრილი (ათას ლარებში)

ნაშთი - 31 დეკემბერი 2008წ - წმინდა ღირებულება	შენიშვნა	73,776.5
ზრდა		
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1	118,720.2
გრანტები	1	298.8
სხვა შემოსავლები	1	66.9
უსასყიდლოდ მიღებული მირითადი აქტივები	2	35,996.6
უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგები	2	2,672.3
უსასყიდლოდ მიღებული არაწარმოებული აქტივები	2	2.3
სხვა ეკონომიკური ნაკადები (აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები)	3	386.8
სულ:		158,143.9
შემცირება		
ხარჯები	1	88,613.6
უსასყიდლოდ გადაცემული მირითადი აქტივები	2	641.3
უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური მარაგები	2	741.3
სხვა ეკონომიკური ნაკადები (აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები)	3	368.1
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	4	80.6
სულ:		90,444.9
წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში		67,699.1
ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - წმინდა ღირებულება		141,475.6
ნაშთი - 31 დეკემბერი 2008წ - გაუნაწილებელი მოგება		-
ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - გაუნაწილებელი მოგება		-
ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - დაუფარავი ზარალი		-
სულ კაპიტალი		141,475.6

შენიშვნა 1

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების 118,720.2 ათასი ლარის (ხარჯები - 83,428.6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები - 35,182.1 ათასი ლარი და ვალდებულებების კლება 109.5 ათასი ლარი) ხარჯვის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია №3, №20 და №22 ცხრილებში. გრანტების (298.8 ათასი ლარი) და სხვა შემოსავლების (66.9 ათასი ლარი) განხილულია წინამდებარე აქტის 1.4. საკითხში.

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ხარჯვის (88.6 ათასი ლარის) ინფორმაცია წარმოდგენილია №3 ცხრილში.



შენიშვნა 2

უსასყიდლოდ მიღებულ მირითად აქტივებში ასახული 35,996.6 ათასი ლარიდან, შენობა-ნაგებობები წარმოადგენს - 1,052.5 ათასი ლარს (სამინისტროს აპარატის - 351.8 ათას ლარს, არასაპატიმრო სასჯელაღსრულების და პრობაციის ეროვნული სამსახურის - 661.5 ათას ლარს და სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ - 39.2 ათას ლარს), სატრანსპორტო საშუალებები - 470.9 ათას ლარს (სამინისტროს აპარატის - 303.5 ათას ლარს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის - 162.1 ათას ლარს, არასაპატიმრო სასჯელაღსრულების და პრობაციის ეროვნულ სამსახურის - 5.3 ათას ლარს), სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი - 528.2 ათას ლარს (სამინისტროს აპარატის - 102.7 ათას ლარს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის - 425.5 ათას ლარს), სხვა მირითადი აქტივები - 33,889.0 ათას ლარს (სამინისტროს აპარატის - 53.1 ათას ლარს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის - 33,835.9 ათას ლარს). არამატერიალური მირითადი აქტივი სასაქონლო გრატი (პროგრამული უზრუნველყოფა) - 56.0 ათასი ლარი (მთლიანად სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის“).

უსასყიდლოდ მიღებულ მატერიალურ მარაგებში ასახული 2,274.7 ათასი ლარიდან, ბენზინის ტალონები შეადგენს - 411.0 ათას ლარს (სამინისტროს აპარატს გადმოეცა სსიპ „ფინანსთა სამინისტროს სამსახურიდან“ - 13.7 ათას ლარის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს გადმოეცა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროდან - 397.3 ათას ლარის), სათადარიგო ნაწილები - 0.6 ათას ლარს (სასჯელაღსრულების დეპარტამენტს კარტრიჯები გადმოეცა განათლების სამინისტროდან), სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები - 1,863.1 ათას ლარს (სამინისტროს აპარატს გადმოეცა შსს-დან, იუსტიციის სამინისტროდან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან, განათლების სამინისტროდან; სასჯელაღსრულების დეპარტამენტს გადმოეცა შინანგან საქმეთა სამინისტროდან (212,242.48 ლარი), „აკსმშენი“-დან (302,685.41 ლარი), საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან (205,976.32 ლარი), თავდაცვის სამინისტროდან (824,183.31 ლარი), ტუბერკულიოზის და ფილტვის ეროვნული ცენტრიდან (22,890.91 ლარი), სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან (3,524.37 ლარი), ევროკომისიდან (38,001.6 ლარი), ფონდი „თანადგომა“-დან (1,670 ლარი), შპს „პე ეს პე“-დან (65,760.74 ლარი), განათლების სამინისტროდან (15,034.65 ლარი), ჯანდაცვის სამინისტროდან (139,109.46 ლარი), რეაბილიტაციის ცენტრი „ატლანტისი“-დან (2,380.54 ლარი), ფონდი „ღია საზოგადოება“-დან (553 უარი), ფონდი „ერთგულება“-დან (3,975 ლარი), სახალხო ბანკიდან (157.42 ლარი), საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქო სოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრიდან (408.18 ლარი), წითელი ჯვარიდან (1,050.04 ლარი), შპს „იმპექს ფარმი“-დან (411.92 ლარი), შპს „მირკო“-დან (1,600 ლარი) - სულ 1,841.6 ათას ლარის).

უსასყიდლოდ მიღებული 2.3 ათასი ლარის არაწარმოებული აქტივი (მიწა 209 კვ.მ. მასზე განთავსებულ შენობასთან ერთად) გადაეცა სსიპ ”იურიდიული დახმარების სამსახურს“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოდან.

უსასყიდლოდ გადაცემულ მირითად აქტივებში ასახული 641.3 ათასი ლარიდან, არასაცხოვრებელი შენობები წარმოადგენს - 11.7 ათასი ლარს (სამინისტროს აპარატიდან გადაეცა არასაპატიმრო სასჯელაღსრულების და პრობაციის ეროვნულ სამსახურს); სატრანსპორტო საშუალებები - 412.4 ათას ლარის (სამინისტროს აპარატმა გადასცა განათლების სამინისტროს - 112.7 ათას ლარის და არასაპატიმრო სასჯელაღსრულების და პრობაციის ეროვნულ სამსახურს - 5.3 ათასი ლარის; სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გადასცა თავდაცვის სამინისტროს - 219.3 ათასი ლარის და სამინისტროს აპარატს - 35.9 ათასი ლარის; სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურმა“ გადასცა სამინისტროს აპარატს - 39.1 ათასი ლარის); სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი - 121.4 ათას ლარს (სამინისტროს აპარატმა გადასცა



განათლების სამინისტროს 6.6 ათასი ლარის და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს - 17.9 ათასი ლარის; სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გადასცა სამინისტროს აპარატს - 18.8 ათასი ლარის და თავდაცვის სამინისტროს - 76.2 ათასი ლარის), სხვა მირითადი აქტივები - 95.8 ათას ლარს (სამინისტროს აპარატმა გადასცა განათლების სამინისტროს - 1.2 ათასი ლარის; სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გადასცა თავდაცვის სამინისტროს - 57.3 ათასი ლარის, შსს-ს 16.7 ათასი ლარის და სამინისტროს აპარატს - 20.6 ათასი ლარის).

უსასყიდლოდ გადაცემულ მატერიალურ მარაგებში ასახულია 741.3 ათასი ლარი (სამინისტროს აპარატიდან გადაეცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს - 404.4 ათასი ლარის და - 5.7 ათასი ლარის საჩქრები დაურიგდათ სისტემის თანამშრომლებს; სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა თავდაცვის სამინისტროს გადასცა 8.8 ათასი ლარის, ხოლო დანარჩენი 322.4 ათასი ლარი უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგების ხარჯვის თანხაა).

სამინისტროს კონსოლიდირებული წმინდა ღირებულების ანგარიშზე აქტივების უსასყიდლოდ იღება/გაცემაში ასახულია სამინისტროს დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის მირითადი აქტივებისა მატერიალური მარაგების მიღება-გადაცემები, რაც კონსოლიდირებული ანგარიშის მომზადების დროს უნდა გამოთავსულიყო ნაერთი მონაცემებიდან. შედეგად კონსოლიდირებულ ანგარიშში გაზრდილია უსასყიდლოდ მიღებული/გადაცემული აქტივების თანხა ჯამში 557.3 ათასი ლარით (სამინისტროს აპარატიდან დაქვემდებარებულ ორგანიზაციებზე უსასყიდლოდ გადაცემული მირითადი აქტივები თანხით 34.9 ათასი ლარი და მატერიალური მარაგები 404.4 ათასი ლარი, დაქვემდებარებულ ორგანიზაციებიდან სამინისტროს აპარატზე უსასყიდლოდ გადაცემული მირითადი აქტივები თანხით 115.3 ათასი ლარი და მატერიალური მარაგები 2.7 ათასი ლარი). ამას გარდა, არაფინანსური აქტივების მიღება/გასვლის ანგარიშში მატერიალური მარაგების მიღების ანგარიშში.

შენიშვნა 3

წმინდა ღირებულების ზრდა სხვა ეკონომიკური ნაკადებით (მოცულობითი ცვლილებები) წარმოადგენს 386.8 ათას ლარს. აქედან 3.2 ათასი ლარი წარმოადგენს სამინისტროს აპარატის მიერ შეცდომით გატარებული თანხების აღდგენას. 2.5 ათასი ლარი წარმოადგენს სასჯელაღსრულების უეპარტამენტის 2009 წლის შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის დასკვნების შედეგად კორექტირებული თანხა. 381.1 ათასი ლარი ეკუთვნის სსიპ "სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრს", საიდანაც 362.2 ათასი ლარით გაზრდა ბალანსზე რიცხული გრძელვადიანი აქტივების რეკლასიფიკაციამ გამოიწვია, ხოლო 18.9 ათასი ლარი წარმოადგენს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული მანქანა-დანადგარების, ინვენტარის და მცირეფასიანი ინვენტარის ღირებულებას.

წმინდა ღირებულების კლება სხვა ეკონომიკური ნაკადებით (მოცულობითი ცვლილებები) წარმოადგენს 368.1 ათას ლარს. აქედან 0.4 ათასი ლარი წარმოადგენს სამინისტროს აპარატის მიერ შეცდომით გატარებული თანხის შემცირებას. 1.4 ათასი ლარი წარმოადგენს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ გასული წლების დავალიანების დაფარვას. 362.2 ათასი ლარით კლება გამოწვეულია სსიპ "სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრის" ბალანსზე რიცხული გრძელვადიანი აქტივების რეკლასიფიკაციით. 4.2 ათასი ლარი წარმოადგენს სსიპ "იურიდიული დახმარების სამსახურის" მიერ სადაზღვეო კომპანიასთან თანაგადახდის თანხას დაზიანებული ავტომანქანის ჩანაცვლებისათვის.



შენიშვნა 4

ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები - 80.6 ათასი ლარი წარმოადგენს სხვა შემოსავლებს, რომელიც წარმოიქმნა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გასულ წლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების შემცირებით. აღნიშნული თანხები მიმართულია სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო სამინისტროში გატარდა როგორც სხვა შემოსავალი და გადაიხურა წმინდა ღირებულებით (სასჯელაღსრულების დეპარტამენტი).

ნაწილი IV.- აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის ესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარატამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

გ. ჩლავ

ნინო ჩადუნელი

„02“ 06 2010 წელი